GEFF Green Economy Financing Facility

European Bank for Reconstruction and Development

# აირიდეთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკები - გახადეთ თქვენი აგრობიზნესი მომგებიანი და პასუხისმგებლიანი

თუკი თქვენ აგროსფეროში მოღვაწეობთ და ეძებთ თქვენი ბიზნესის მდგრადობისა და მომგებიანობის გაუმჯობესების გზებს, გაიგეთ რას გთავაზობთ GEFF პროგრამა.

მხარდაჭერილია:

GREEN CLIMATE FUND

Federal Ministry Republic of Austria Finance

საქართველოში აგრობიზნესი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური სექტორია, სადაც მოსახლეობის 42%-ია დასაქმებული. ინდუსტრიის სრული პოტენციალის განსავითარებლად, მნიშვნელოვანია საჭირო ინფრა-სტრუქტურა იყოს კარგად განვითარებული, ღონისძიებები კი, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება მიმართული იყოს მდგრადობისა და განვითარებისკენ. ბოლო დროის კლიმატური ცვლილებები და მათ მიერ გამოწვეული ზარალი ამას კიდევ უფრო ცხადყოფს.

მზარდი ტემპერატურა და მოულოდნელი წვიმები, მეწყერები და გვალვები ბოლო დროს გახშირებულია, მაგრამ მათი ზრდის ტემპი და ინტენსივობა ჩვენს სამომავლო გეგმებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზეა დამოკიდებული.

## აგრობიზნესის მიერ კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის გათვალისწინება კრიტიკულია

- **სოფლის მეურნეობა წყლის რესუსის ყველაზე მსხვილი მომხმარებელია.** ტრადიციული სარწყავი სისტემები წყლის ჭარბ რაოდენობას გამოიყენებს, რაც ბიზნეს ხარჯებს ზრდის და ამავე დროს ნიადაგის ეროზიას აჩქარებს.
- **ძლიერი გვალვები და ჭარბი ნალექიანობა აზიანებს მოსავალს, რასაც ხშირ შემთხვევაში შეუქცევად ზარალამდე მივყავართ.** სათბურებისა და მოსავლის შესანახი შენობების გამოყენება ამ ზარალის თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.
- **სასუქებისა და პესტიციდების მაღალი დოზების გამოყენების შედეგად ბინძურდება წყალი.** რეგულაციებში უახლესი ცვლილებების გათვალისწინებით, სადაც დამბინძურებელს ფულადი თუ სხვა პასუხისმგებლობა ეკისრება, იმ ტექნოლოგიებში ინვესტირება, რომლების მეშვეობითაც მცირდება სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება გონივრული გადაწყვეტილებაა, რომლის არამარტო ხარჯებს დაზოგავს, არამედ სამომავლოდ ჯარიმებსა და სანქციებს თავიდან აგაცილებთ.

## როგორ შეუძლია აგრობიზნესს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების თავიდან აცილება?

მოვლენები, რომლებმაც შეიძლება აგრობიზნესის სიცოცხლისუნარიანობას რისკი შეუქმნას რთულად პროგნოზირებადია; თუმცა მათთვის მომზადება შეუქცევადი ზარალის რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს. წყლის, ნიადაგისა და სხვა რესურსების უკეთესად გამოყენება და პროცესების ოპტიმიზაცია ატიპიური და მოულოდნელი ამინდების მიმართ ბიზნესის გამძლეობას ამაღლებს.

საქართველოს ბაზარზე არსებობს რიგი ტექნოლოგიებისა, რომლებიც აგროსექტორს მომგებიანობის გაზრდასა და მდგრადობის გაძლიერებაში ეხმარება. სოფლის მეურნეობაში მოღვაწე ნებისმიერ ბიზნესს შეუძლია მისი საჭიროებებიდან გამომდინარე შეარჩიოს ისინი:

| | |
|---|---|
| წვეთოვანი სარწყავი სისტემა | წყლის გამოყენების 90%-იანი ეფექტურობა |
| სათბურები | ნიადაგის ეროზიის რისკის შემცირება, წყლის ნაკლები აორთქლება და გაზრდილი მოსავალი |
| წვიმის წყლის შეგროვების ავზები | წყლის რესურსის ეფექტურად გამოყენბა |
| ნიადაგის მოსამზადებელი დანადგარები | ნიადაგის ეროზიის შემცირება |
| მინიმალური ან ნულოვანი დამუშავების სახნავ-სათესები და სათესი აგრეგატები | მოსავლის 6-25%-იანი ზრდა, ნიადაგის ეროზიის 28-90% შემცირება |

მეტი ტექნოლოგიის სანახავად, დაათვალიერეთ მწვანე ტექნოლოგიის სარჩევი.

## რა შეიძლება დამატებით გავაკეთოთ ბიზნესის უკეთესი ადაპტაციისთვის?

- **განახლებადი ენერგიის გამოყენება** - მზე ენერგიის ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და ულევი წყაროა. მისი გამოყენებით შესაძლებელია არამარტო ჰაერის დაბინძურების, არამედ ბიზნეს ხარჯების შემცირება.
- **თესლბრუნვა** - პერიოდულად ისეთი კულტურების მოშენება, რომლებიც ნიადაგს საკვები ნივთიერებებით, მაგალითად, აზოტით გაამდიდრებს, სასიკეთოდ იმოქმედებს, როგორც ნიადაგის ასევე მოსავლის ხარისხზე.
- **ალტერნატიული საწვავის გამოყენება** - ბიომასა, რომელიც მცენარეებისა და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებისგან მიიღება წარმატებით გამოიყენება, როგორც ენერგიის ერთ-ერთი წყარო.

## როგორ ეხმარება GEFF აგრობიზნესს?

**მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა** ანუ GEFF არის EBRD-ის პროდუქტი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების მეშვეობით ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მათ მდგრად განვითარებას უწყობს ხელს.

პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით მიღებული GEFF დაფინანსება შეგიძლიათ გამოიყენოთ:

ა) ზემოთ ხსენებული მწვანე ტექნოლოგიების შესაძენად;
ბ) თქვენი მწვანე პროექტების, როგორიცაა მზის ელექტროსადგური, დასაფინანსებლად.

## GEFF-ს აქვს დაფინანსების ორი გზა:

**წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციები.** თუ თქვენ იცით რომელი თანამედროვე ტექნოლოგიის შეძენა გსურთ, თქვენ შეგიძლიათ მოძებნოთ ის მწვანე ტექნოლოგიის სარჩევში, სადაც დაგხვდებათ ყველა ის ტექნოლოგია, რომელიც, $300,000 (ან ექვ. სხვა ვალუტაში) ფარგლებში, წინასწარ დამტკიცებულია GEFF ფინანსირებისთვის.

**უფასო ტექნიკური კონსულტაციის ფარგლებში შეფასებული ინვესტიციები.** თუკი თქვენ გაქვთ პროექტი, რომელიც მრავალი კომპონენტისგან შედგება, თქვენ შეგიძლიათ GEFF-ის უფასო კონსულტაცია მოითხოვოთ, რის შედეგადაც GEFF-ის ექსპერტები გააანალიზებენ თქვენს პროექტს და საუკეთესო გადაწყვეტილებებს შემოგთავაზებენ.

## GEFF დაფინანსების გამოყენების წარმატებული მაგალითი საქართველოში:

| | |
|---|---|
| ინვესტიცია | წვეთოვანი სარწყავი სისტემა |
| ინვესტორი | სს Agro Grain |
| Type of business | სიმინდის მოყვანა-გაყიდვა |
| აღწერა | წყლის რესურსის შემცირებული გამოყენება და ყოველწლიური $10,000-ის დანაზოგი |
| ინვესტიციის მოცულობა | $ 365,000 |
| ენერგოდანაზოგი | 106.17 მგვტ/სთ წელიწადში |
| წყლის დანაზოგი | 151,666 $m^3$ წელიწადში |

## როგორ ვისარგებლოთ GEFF დაფინანსებით?

I. შეარჩიეთ თანამედროვე ტექნოლოგია მწავნე ტექნოლოგიის სარჩევიდან ან პირდაპირ მიმართეთ მომწოდებელს
II. შეაჯერეთ თქვენი პროექტის ფინანსური და ტექნიკური მოთხოვნები
III. მიმართეთ ჩვენს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტს: https://ebrdgeff.com/georgia/financing
IV. საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვეთ GEFF-ის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების უფასო ტექნიკური შეფასება
V. მიიღეთ სესხი
VI. დაამონტაჟეთ ტექნოლოგია
VII. ისიამოვნეთ გრძელვადიანი ენერგოდანაზოგით

**შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვწეროთ. ჩვენი გუნდი სიამოვნებით დაგეხმარებათ.**

GEFF საქართველოში
თამარაშვილის ქ. 13ა | თბილისი, საქართველო
georgia@ebrdgeff.com | +995 32 2290809 | www.ebrdgeff.com/georgia